

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
N/GOG/ RDP3/D/C/ /03

ქ. თბილისი

„*წი*“ „დეკემბერი“ 2014წ

ერთის მხრივ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილის ბ-ნი ილია დარჩიაშვილის სახით და მეორე მხრივ შპს „გლობალ პროექტი“ (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ბ-ნი რევაზ მალაქელიძის სახით, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 24 დეკემბრის N2424 განკარგულების თანახმად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ედებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელ ორგანიზაციას შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელზედაც მხარეთა შორის გაფორმდა ხელშეკრულება.
- 1.3. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში შემსყიდველი) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4. „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელთანაც შემსყიდველმა გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების დანართით N1 (ტექნიკური დავალიანა) გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ასალციხის მუნიციპალიტეტში საფარას მონასტერთან მისასვლელი გზის საპროექტო-საბარჯეთაღორციელო დოკუმენტაციის დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება (შემდგომში მომსახურება) (cpv71320000), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მაწოდებელი მომსახურება და უზრუნველყოს ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. მილიანი ხელშეკრულებაში ღირებულება შეადგენს 70.000,00 (სამოცდაათი ათასი) ლარს.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ყველა ხარჯს, რომელიც დაკავშირებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების დანართით N1 (ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისთვის, პროფესიული პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულ ყველა ხარჯს, წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო გადახდის) საბანკო გარანტიის ხარჯს (ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში) და მიწოდებლისთვის გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

4. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები და მიწოდების ვადები

4.1. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები, მომსახურების მიწოდებისთვის გასატარებელი ღონისძიებები, საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემადგენლობა, მომსახურების მიწოდების პირობები და მიწოდებლისთვის დადგენილი სხვა მოთხოვნები, რომელიც აუცილებელი იქნება მომსახურების გაწვევისათვის მოცემულია ხელშეკრულების დანართში N1 (ტექნიკური დავალება და მომსახურების აღწერილობა), რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4.2. მომსახურების მიწოდებისას მიწოდებელმა უნდა გაითვალისწინოს საქართველოში მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი ყველა მოთხოვნა, რომელიც დაკავშირებული იქნება მომსახურების გაწევასთან, ასევე მიწოდებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნული მომსახურებისათვის დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებსა და მოთხოვნებს.

4.3. მომსახურების გაწვევის ვადა მოცემულია ხელშეკრულების დანართში N1 (ტექნიკური დავალება).

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს მიწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

5.2 ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

5.2.1 მომსახურების მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

5.2.2 მიწოდებული მომსახურების ხარისხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, მომსახურების განხილვა-შეთანხმება, მიწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება. მიწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლობის ან არაეფროვანი შესრულების შემთხვევაში შესაბამის ინსპექტირების დასკვნის შედგენა.

5.2.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

5.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტების შეფასების სამსახურის პროექტების

მ. ლომიძე

შეფასების სპეციალისტი ბ-ნი ვასილ ფეხმაშვილი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტების შეფასების სამსახურის უფროსი ბ-ნი პაატა იაკობაშვილი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების შესაბამისად.

6.2. მომსახურების წარდგენისა და მიღება-ჩაბარების პირობები მოცემულია ხელშეკრულების დანართში N1.

6.3. შემსყიდველის შტრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი არის სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტების შეფასების სამსახურის პროექტების შეფასების სპეციალისტი ბ-ნი ვასილ ფეხმაშვილი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტების შეფასების სამსახურის უფროსი ბ-ნი პაატა იაკობაშვილი.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

7.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიწოდებული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და დადგენილი წესით საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე, თუ მიმწოდებელი არის დ.დ.გ.-ს გადამხდელი.

7.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 7.3. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.5. მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარი ანგარიშსწორება, მიმწოდებლის მიერ შესაბამის თანხაზე საქართველოში მოქმედი საბანკო დაწესებულებიდან გაცემული, შემსყიდველთან შეთანხმებული შინაარსის, უპირობო, გამოუთხოვადი წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს მომსახურების მიწოდების საბოლოო ვადას.

7.6. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში მოთხოვნის წაყენებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს მის მიერ განსაზღვრულ თანხისა და მოქმედების ვადის საქართველოში მოქმედი საბანკო დაწესებულებიდან გაცემული, შემსყიდველთან შეთანხმებული შინაარსის, უპირობო, გამოუთხოვადი წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტია.

8. მომსახურების ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება უფლებრივად და ნიეთობრივად უნაკლო, არ გამოავლენს ხარვეზებს და შესრულებული იქნება მაღალხარისხივად. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

9. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას და ასევე წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე განხორციელებული პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი რისკის დაზღვევის მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველისა და მიმწოდებლის სასარგებლოდ უზრუნველყოს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა ქვემოთ მითითებული პირობების შესაბამისად:

9.1.1. პროფესიული დაზღვევის დასაფარი თანხა შეადგენს 140,000.00 (ასორმოცი ათასი) ლარს. (ფრანშიზა - არაუმეტეს 1,050,00 (ერთი ათას ორმოცდაათი) ლარი).

9.1.2. დაზღვევა უნდა ფარავდეს ყველა მოსალოდნელ რისკს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მიმწოდებლის პროფესიული შეცდომის შედეგად და რომელმაც წარმოშვა შემსყიდველისათვის დამატებითი ხარჯი ან ზიანი.

9.1.3. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის უზრუნველსაყოფად მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს საქართველოში მოქმედი საფრანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული სადაზღვევო პოლისი, რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 2 კალენდარულ წელზე ნაკლები მისი გაცემის თარიღიდან.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების 9.1.1. პუნქტში განსაზღვრული ფრანშიზის დაფარვას საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

9.3. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის შეცდომის შედეგად გამოწვეული ხარჯის ან/და ზიანის დაფარვა ვერ განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 9.1. პუნქტის შესაბამისად მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შემსყიდველისათვის მიყენებული ხარჯის ან/და ზიანის ანაზღაურება.

10. შესყიდვის ობიექტის საკუთრება, კონფიდენციალურობა და საცტორო უფლება

10.1. მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ყველა სახის მასალა (გამოკვლევა, ანგარიშები ან სხვა მასალები, გრაფიკა, პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა დოკუმენტები) მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადაში და მისი შეწყვეტის შემდგომაც მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და მისი შებადგენელ ყველა ნაწილთან დაკავშირებულ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა.

10.3. საცტორო უფლების საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. შარტის ვალდებულებები

11.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

11.1.1. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

11.1.2. დროულად განიხილოს შემსყიდველის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

11.2. შემსყიდველი ვალდებულია:

11.2.1. დაფინანსების წყაროთი გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის

სადავო-3

პირობებში უზრუნველყოს მიწოდებლის დროული და სრული დაფინანსება.

11.2.2. დროულად განხილოს მიწოდებლის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

11.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

12. მხარეთა უფლებები

12.1. მიწოდებელს უფლება აქვს:

12.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

12.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

12.2.1. აწარმოოს მიწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კონტროლი.

12.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეწყვეტა ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შესრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიწოდებლის შეცდომებთან და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი, ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების წყაროს მკვეთრი შეცვრებით და სხვა.

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული

ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების შეგველენისაგან.

14. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

14.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ

მომსახურება

გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

14.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

14.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების

დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამბური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

14.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1. შემსყიდველმა და მიწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დაეა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ორგვლივ.

15.2. თუ შემსყიდველი და მიწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დაეის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წაწყდებიან რაიმე ხელშეშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამოწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

17. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

17.1 მიწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

17.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიწოდებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე გადაუხადოს პირგასამტეხლო მიწოდებელს ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

17.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს მორითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17.4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების

შესრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააქარებებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

18. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

18.1. მხარეთა შეთანხმებით;

18.2. ხელშეკრულების 17.4. პუნქტით გათვალისწინებული პირობის არსებობისას;

18.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

20. განსაკუთრებული პირობები

20.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

20.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

“შემსყიდველი”

სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“

ს/კ 206074193

ქ.თბილისი აღმაშენებლის გამზირი N150

ს/ს ზანკი რესპუბლიკა

ზანკის კოდი № 220 101 757

ა/ა GE34BR0000010975120582



ილია დარჩინაძე
აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე

„მიმწოდებელი“

შპს „გლობალ პროექტი“

ს/კ 406071806

ქ. თბილისი, ვ. ანჯაფარიძის 2ა;

ტელ: 579 22 75 57; 599 17 6418; 222 54 32;

ელ ფოსტა: info@globalproject.ge

ს/ს „თიბისი ზანკი“

ზანკის კოდი TBOGE 22

ა/ა GE38TB7844436050100001

(Handwritten signature)

რევაზ მალაქელიძე

დირექტორი



ტექნიკური დამატება

ახალციხის მუნიციპალიტეტში საფარას მონასტერთან მისასვლელი გზის
დეტალური საინჟინრო პროექტის მოსამზადებლად

1. შესავალი

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში შემსყიდველი) წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის მიზანია მოახდინოს სახსრების მოზილიზება სხვადასხვა საერთაშორისო დონორებისა და საქართველოს ფინანსური ორგანიზაციებისაგან, რათა ხელმისაწვდომი გახადოს ამ სახსრების ადგილობრივ ინფრასტრუქტურაში ინვესტირება. იმავდროულად, ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციური და ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერებას.

შემსყიდველის პროგრამით გათვალისწინებულია სხვადასხვა პროექტების განხორციელება. მათ შორისაა რეგიონალური განვითარების მესამე პროექტი, რომელიც ფინანსდება საქართველოს მთავრობის და მსოფლიო ბანკის მიერ. პროექტის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს მცხეთა-მთიანეთის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში ტურიზმის განვითარება.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებულია სამცხე-ჯავახეთის რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისა და მიმდებარე ტერიტორიებზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა. მათ შორისაა საფარის სამონასტრო კომპლექსთან მისასვლელი გზა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 24 დეკემბრის N2424 განკარგულებით შემსყიდველს დაეცალა რეგიონული განვითარების მე-3 პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული ქვეპროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებების და დეტალური საპროექტო-საბარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად მომსახურების შესყიდვა.

2. ქვეპროექტის მოკლე აღწერა

ობიექტი მდებარეობს ახალციხის მუნიციპალიტეტში, ღრელი-საფარას გზა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა. მონაკვეთის სიგრძე შეადგენს 7.5 კმ-ს, სიგანე სავარაუდოდ 6-7 მ. გზა არ გადის დასახლებულ ტერიტორიაზე. გზა გრუნტისაა და კვეთავს პატარა ხევები, მაგრამ არ გააჩნია წყალამრედი მილები.

ნიმუში-3

3. დავალების მიზანი

წინამდებარე დავალება ითვალისწინებს დეტალური პროექტის შედგენას, რომელიც უნდა მოიცავდეს (მაგრამ არ შემოიფარგლება): გზის გასუფთავება ტალახისა და ზედმეტი გრუნტისაგან, ვაკის რეაბილიტაცია (ზრემის შემასწორებელი ფენის და ღორღის საფუძველის მოწყობა), აზუტონის საფარი უნდა მოეწყოს ნორმებით გათვალისწინებულ ფარგლებში (საპროექტო გადაწყვეტილება) სავალი ნაწილის სიგანე 5 მ. გვერდულების გარეშე.

მიწის კოეფიციენტის და ჩამონაშალი გრუნტის წმენდა, ხელოვნური ნაგებობების (მილხიდები, თვალაძრიდები) მშენებლობა.

3.1 დეტალური საინჟინრო პროექტის და სატენდერო მასალების მომზადება

მომსახურება მოიცავს (მაგრამ შეიძლება არ შემოიფარგლოს) დეტალური პროექტის შესადგენად სამიზნო-კვლევით და საპროექტო სამუშაოებს, კერძოდ:

I. ობიექტის რეკონსტრუქცია

II. სამიზნო-კვლევითი სამუშაოები

- ტახეომეტრიული აგგმვა;
- სავალი ნაწილის არსებული საგზაო სამოსის კონსტრუქციის გამოკვლევა (გეოლოგიური ჭრილები);
- ზორდიურების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა;

III. საპროექტო სამუშაოები

- საგზაო სამოსის კონსტრუქციის შერჩევა;
- გრძივი და განივი პროფილების დაპროექტება;
- წყალაძრიდი ღონისძიების გათვალისწინება საჭიროების მიხედვით;
- სისტემის ელემენტების ტექნოლოგიური ნახაზები, მასშტაბი 1:100/200/500;
- სამუშაოთა მოცულობების საპროექტო უწყისის შედგენა;
- სამუშაოთა მოცულობების კრებსითი უწყისის შედგენა;

Handwritten signature

- საჭირო მასალების ამონაკრები;
- საჭირო მანქანა-მექანიზმების უწყისის შედგენა;
- მშენებლობის კალენდარული გრაფიკი.

IV. მშენებლობის ორგანიზაცია;

V. მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა.

VI. სატენდერო დოკუმენტაციისათვის ტექნიკური სპეციფიკაციების მომზადება.

პროექტის განმარტებით ზარათში მოკლედ უნდა იყოს აღწერილი არსებული მდგომარეობა და საპროექტო გადაწყვეტილებები (უნდა დაერთოს საჭირო გაანგარიშებები, სქემები, ცხრილები, ფოტომასალა და ა.შ.), მოცემული უნდა იყოს სარეაბილიტაციო ობიექტის ძირითადი პარამეტრები, გამოყენებული მასალების სპეციფიკაციები, სამუშაოთა ჩამონათვალი, მოცულობები და მშენებლობის ორგანიზაციის რეკომენდაციები საორიენტაციო კალენდარული გრაფიკით, გარემოსდაცვითი ნაწილი.

მითითებული უნდა იყოს გამოყენებული სამშენებლო ნორმები და წესები და გაანგარიშებების მეთოდები.

ტექნიკური სპეციფიკაციები უნდა მოიცავდეს კონტრაქტორისათვის (სამშენებლო ტენდერში მონაწილეთათვის) ზოგად მითითებებსა და რეკომენდაციებს. ასევე, დეტალურ სპეციფიკაციებს (ყველა აუცილებელი სტანდარტის მითითებით) გამოყენებული მასალებისათვის, სამუშაოთა შესრულების მეთოდებისა და ხარისხის კონტროლისათვის. მიმწოდებელმა (კონსულტანტი) პროექტის შედგენისას, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა გაითვალისწინოს დაჯალბის დანართ 1-ში მოცემული რეკომენდაციები.

პროექტის გრაფიკული ნაწილი (როგორც სამშენებლო, ასევე სატენდერო ნახაზები) შესრულებული უნდა იყოს სამუშაო დოკუმენტაციისათვის მოთხოვნილი ნორმების და სტანდარტების შესაბამისად, სათანადო მასშტაბში და დეტალიზაციით.

პროექტს თან უნდა ახლდეს მოკლე ანოტაცია.

თიანუა 3

4. მიმწოდებლის (კონსულტანტი) შტატი

მიმწოდებელმა (კონსულტანტი) დავალებით გათვალისწინებული მომსახურების მაღალ დონეზე შესასრულებლად უნდა უზრუნველყოს კვალიფიციური კადრების მობილიზება (როგორც ძირითადი სპეციალისტების, ასევე დამხმარე ტექნიკური პერსონალის).

ყველა ექსპერტი (წამყვანი სპეციალისტი) თავის შესაბამის დისციპლინაში აღიარებული პროფესიონალი უნდა იყოს და გააჩნდეს მსგავსი სამუშაოების შესრულების არანაკლებ 10 წლის პროფესიული გამოცდილების სტაჟი.

5. ანგარიშგება და განრიგი

პროექტები განხორციელდება ერთ ეტაპად - დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.

2015 წლის პირველი იანვრიდან 2 კვირის ვადაში მიმწოდებელი (კონსულტანტი) წარუდგენს შემსყიდველს დეტალური პროექტის საწყის ვარიანტს შესათანხმებლად.

2015 წლის პირველი იანვრიდან 4 კვირის ვადაში მიმწოდებელი (კონსულტანტი) წარუდგენს შემსყიდველს შესათანხმებლად სრული საპროექტო დოკუმენტაციის საბოლოო ვარიანტს, წინა ეტაპზე დაფიქსირებული შენიშვნების გათვალისწინებით - პროექტის ყველა ნაწილის დასრულებულ სამუშაო დოკუმენტაციას შესაბამისი დეტალებით, კვანძებით და სპეციფიკაციებით, ხარჯთაღრიცხვას (რესურსული და გამსხვილებული), სატენდერო დოკუმენტაციებს.

მიმწოდებელმა (კონსულტანტი) საბოლოოდ შემსყიდველს უნდა გადასცეს დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია და სატენდერო მასალები დაბეჭდილი ოთხ ეგზემპლარად, ქართულ და ინგლისურ ენებზე. წარმოდგენილ მასალებს თან უნდა დაერთოს მათი ელექტრონული ვერსიები (ტექსტური ნაწილი Word და Excel ფაილების სახით, ხოლო ნახაზები - AutoCAD/ArchiCAD და PDF ფორმატში).

სამშენებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში, მიმწოდებელი (კონსულტანტი) ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა საპროექტო გადაწყვეტათა დაზუსტებაში, და საჭიროების შემთხვევაში მუშა დოკუმენტაციის, სამშენებლო მოცულობების და კონტრაქტის სხვა შესაბამისი ცვლილებების მომზადება - შეთანხმებაში.

წმ
3

6. შემსყიდველის წვლილი

შემსყიდველი გადასცემს მიმწოდებელს (კონსულტანტ) მის ხელთ არსებულ ყველა მასალას, რომელიც შეიძლება საჭირო იყოს მომსახურების გაწევისათვის.

7. მომსახურების ხანგრძლივობა

მომსახურების საორიენტაციო ვადა არის 4 კვირა 2015 წლის პირველი იანვრიდან.

ტექნიკური დავალების დანართი N1

საპროექტო სახელმძღვანელო პრინციპები ურბანული და სოფლების დამაკავშირებელი გზებისა და ინფრასტრუქტურისათვის

შესავალი და საპროექტო სახელმძღვანელო პრინციპების დანიშნულება

წინამდებარე ურბანული და სოფლების დამაკავშირებელი გზების საპროექტო სახელმძღვანელოს დანიშნულებას წარმოადგენს უზრუნველყოს საკონსულტაციო ფირმები და მუნიციპალიტეტები უფრო კონკრეტული საპროექტო დირექტივებით ქუჩების/გზების და ინფრასტრუქტურისათვის, რომელიც საქართველოს მოაერობის სახსრებით უნდა დაფინანსდეს, რაშიც შედის დონორების დაფინანსებული პროექტები, რომელთა განხორციელებაც საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს ევალება. იმედი გააქვს, რომ ეს სახელმძღვანელო პრინციპები კარგ მსგავსადაც უზრუნველყოფს ურბანული გზების პროექტირებისათვის და დაფინანსების წყაროსაგან დამოუკიდებლად გააუმჯობესებს საქართველოში განხორციელებული ინფრასტრუქტურის სამუშაოების ხარისხს.

საპროექტოს ევალება მგფ-ს განსახილველად წარუდგინოს თავის პროექტი ამ სახელმძღვანელოს ბოლოში მოცემული საკბრო წარმოსადგენი დოკუმენტაციის სიის შესაბამისად.

გარდა ამისა, რეკომენდირებული ობიექტის ზედამხედველების მოვალეობები და დოკუმენტაციის კონტროლის მოთხოვნები ამ დოკუმენტის ბოლოს არის მითითებული.

სახელმძღვანელო პრინციპების გამოყენება

წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემული პრინციპები გზის დამპროექტებლების მიერ უნდა იქნას გათვალისწინებული საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (მგფ) დასაფინანსებელი ქვე-პროექტების მომზადებისას. გათვალისწინებული უნდა იქნას ის ფაქტი, რომ პრაქტიკაში შესაძლოა იყოს სიტუაციები, როდესაც ზოგიერთი რეკომენდაცია პრაქტიკული არ აღმოჩნდეს. თუკი დიზაინერი გადაწყვიტავს გადაუხვიოს ამ სახელმძღვანელო პრინციპებიდან, მან აუცილებლად უნდა აუხსნას მგფ-ს

პრინციპებიდან გადახვევის მიზეზები. მგფ გადახედავს რეკომენდირებულ გადახვევებს სტანდარტიდან და დაუსწევს ამგვარ გადახვევას დანახარჯების ეფექტურობის საფუძველზე. თუკი უსაფრთხოება დაცული იქნება.

გზის ინფრასტრუქტურის პროექტების განხილვა და დამტკიცება მგფ-ს მიერ მშენებლობის დაწყებამდე

წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპებთან შესატყვისობის უზრუნველყოფისათვის მგფ გადახედავს ყველა შემოთავაზებული გზისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროექტს სატენდერო პროცესის დაწყებამდე ამ განხილვის უპირველეს მიზანს წარმოადგენს პროექტების მგფ-ს სახელმძღვანელო პრინციპებთან შესატყვისობის უზრუნველყოფა სამშენებლო კონტრაქტის მინიჭებამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც არ არის გათვალისწინებული სახელმძღვანელო პრინციპები ან სადაც დაშვებული არ არის სტანდარტიდან გადახვევები, მგფ უფლებას იტოვებს მოითხოვოს ცვლილებების შეტანა პროექტში სატენდერო პროცესის დაწყებამდე.

სახელმძღვანელო პრინციპები

საპროექტო სახელმძღვანელო პრინციპები აგებულია ქვემოთმოყვანილი გზისა და ინფრასტრუქტურის პროექტირების თორმეტი ელემენტის საფუძველზე და საქართველოს ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით ემყარება საერთაშორისოდ აღიარებულ პრაქტიკას; აღსანიშნავია, რომ გზებისა და ინფრასტრუქტურის პროექტირება არ შემოიფარგლება მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილი საპროექტო მისაზრებებით:

- ერთიანი (კომპლექსური) პროექტი და სამშენებლო დოკუმენტაცია;
- კომუნიკაციების ხაზებზე სამუშაოები და პროექტირება;
- საგზაო საფარისა და საფუძვლის პროექტირება;
- ხეივანი ნაწილის ხიზანე;
- გვერდულების მოწყობა საგზაო საფარის მიმდებარე ტერიტორიაზე;
- დრენაჟის ვარიანტები;
- ბორცვებისა და ხანიანურების ვარიანტები;
- სახედობთან მისასვლელების/კერძო შესასვლელების მოწყობა;
- ტროტუარების/ველობილიკების მოწყობა;
- საგზაო ნიშნები და გზის მონიშვნა;
- გზაჯვარედინების პროექტირება და გზების იზარაქია;
- საგზაო აღჭურვილობის შეფასება და რეაბილიტაცია.

ეს სახელმძღვანელო პრინციპები უფრო დეტალურად არის აღწერილი მომდევნო გვერდებზე.

1. ერთიანი (კომპლექსური) პროექტი და სამშენებლო დოკუმენტაცია

გზის ტრასის (გზის კორიდორის) მოლიანი სივრცის პროექტირება:

დიზაინერი სათანადო პროექტებს გზის პროექტირების სტანდარტების შესაბამისად მოამზადებს მოლიანი გზის კორიდორის სივრცისათვის (ე.ი. გზის/ქუჩის ორივე მხარეს კერძო საკუთრებაში მყოფი ობიექტების გამყოფ ხაზებს შორის); იმისაგან დამოუკიდებლად ითხოვს თუ არა მონაწილე მუნიციპალიტეტი მგფ-ს ფინანსურ დახმარებას სარეაბილიტაციოდ თუ არა. ამ დაკავლების მიზანს წარმოადგენს, რომ მაშინ როდესაც რეაბილიტაცია დაიგეგმება ყურადღება მიექცეს მთელ გზის კორიდორს. პროექტი უნდა ითვალისწინებდეს გზისა და ინფრასტრუქტურის პროექტირების თორმეტ ელემენტს, რომელიც ზემოთ არის მოყვანილი, როდესაც ან თუკი ამის შესახებ მგფ მოუთხოვს რომ გზის ეს ელემენტები ან არახატარია ან მიხაღებ მდგომარეობაშია, დიზაინერმა ეს დეტალურ საპროექტო ანგარიშში უნდა შეიტანოს თავის დასაბუთებასთან ერთად თუ რატომ არ მიხდევს სახელმძღვანელო პრინციპების მოთხოვნებს, როგორც ეს ამავე დოკუმენტში არის აღწერილი.

საკონტრაქტო დოკუმენტაცია:

ინფრასტრუქტურის განვითარების სამუშაოებისათვის დაფინანსების მოთხოვნისას დიზაინერსა და კლიენტ ადგილობრივ ხელისუფლებას ევალება ეწელოს საპროექტო მოთხოვნისა და სტანდარტის გათვალისწინება, სასურველია, რომ სამუშაოები ერთ სამშენებლო კონტრაქტში იყოს გაერთიანებული, რათა გაიოლდეს სამუშაოების სათანადოდ განხორციელება. ძირითადად ეს სარეაბილიტაციო სამუშაოები მგფ-მა უნდა დააფინანსოს, მაგრამ თუკი ზოგიერთ შემთავაზებულ სამუშაოს სხვები ითავებენ, მაშინ ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ვადები და კოორდინაცია წინასწარ უნდა იქნას შეთანხმებული და აღწერილი თანმხლებ დოკუმენტაციაში.

2. კომუნიკაციების სამეზობლო სამუშაოები და პროექტირება

მიწისქვეშა და მიწისზედა კომუნიკაციების შეფასება:

საპროექტო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს ყველა არსებული მიწისქვეშა და მიწისზედა კომუნიკაციების მიმოხილვას გზის კორიდორის ფარგლებში, ამ მიმოხილვის მიზანს წარმოადგენს იმის განსაზღვრა ესაჭიროება თუ არა

განახლება არსებულ კომუნიკაციებს, ან საჭიროა თუ არა დამატებითი კომუნიკაციების მოწყობა სამუშაოების ფარგლებში და ასევე იმის გარკვევა თუ როგორ მოეწყობა გზის კორდინორის გასწვრივ შემოთავაზებული კომუნიკაციები. საბოლოო სამუშაოები სავარაუდოდ ქვემოთმოყვანილი კომუნიკაციებისათვის უნდა განხორციელდეს:

- წყალმომარაგების ქსელი;
- ცენტრალური გათბობა;
- ბუნებრივი გაზის სისტემა;
- ელექტროენერჯის დისტრიბუცია და გადაცემა;
- სანიაღვრე ქსელი;
- საკანალიზაციო სისტემა და;
- ტელეკომუნიკაციის ქსელი.

სასურველია, რომ ნებისმიერი სახის კომუნიკაციების სარეაბილიტაციო სამუშაოები ერთ სამშენებლო კონტრაქტში გაერთიანდეს, რათა უსრუტველყოფილ იქნას სამუშაოების სათანადო კოორდინაცია. თუ ორი სამშენებლო კონტრაქტი პარალელურ რეჟიმში განხორციელდება, საჭიროა სათანადო კოორდინაცია. დიზაინერმა უნდა მოამზადოს კომუნიკაციების ანგარიში, რომელიც დამტკიცებულ უნდა იქნას ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, მასში მითითებული უნდა იყოს არსებული კომუნიკაციების მდგომარეობა და ნებისმიერი შემოთავაზებული ახალი კომუნიკაციები. ანგარიშში უნდა შევიდეს რეკომენდაციები და საპროგრამო მოთხოვნები. დიზაინერმა, მგფ-სთან შეთანხმებით შესაძლოა ასევე დააპროექტოს იმ კომუნიკაციების რეაბილიტაცია, რომლებიც ან მგფ-ს დაფინანსებისათვის არის შემოთავაზებული, ან სხვა წყაროდან უნდა დაფინანსდეს. არსებული და შემოთავაზებული კომუნიკაციების განლაგება უნდა აისახოს კომბინირებულ კომუნიკაციების განლაგების ნახაზებში, სადაც მოცემული იქნება გზის განლაგების სქემა, რათა განისაზღვროს შესაძლო კონფლიქტის ადგილმდებარეობა.

3. საგზაო საფარისა და საფუძვლის პროექტირება

საგზაო საფარის პროექტირების ვარიანტები:

მნიშვნელოვანია, რომ საგზაო საფარის პროექტები ადეკვატური და დანახარჯების მხრივ ეფექტური იყოს. ზოგადად, მგფ-სათვის წარმოდგენილი საგზაო საფარის პროექტების უმეტესობა ანალოგიურია, ახფადტობეტონის ორი ფენით, რომელთა საერთო სისქე 7სმ-დან 10სმ-მდეა. საგზაო საფარის ეს ტიპი ზოგიერთ შემთხვევაში შემოთავაზებულ იქნა გზების კლასიფიკაციის (მაგისტრალური, შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა და ადგილობრივი გზები), ტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობის, დატვირთვის

მარტივი 3

მსახიობებლებისა ან არსებული საგზაო საფარის მდგომარეობის გაუთვალისწინებლად. დიზაინერმა უნდა გაითვალისწინოს დანართში 1 შემოთავაზებული საგზაო საფარის გადაწყვეტის მატრიცა, რათა შეირჩეს დანახარჯების მხრივ ეფექტური საგზაო საფარი. გარდა ამისა, არსებული გრუნტების/საფუძელის ფენის მონაცემების გათვალისწინება, როგორცაა შიდაუნარიანობა (CBR's), ათერბერგის ზღვრული სიღრმე და ა.შ. უზრუნველყოფს საგზაო საფარის ფენების გრძელვადიან სტაბილურობას.

საგზაო საფარის პროექტის ნახაზები და სპეციფიკაციები:

დიზაინერმა უნდა მიუთითოს საგზაო საფარის სპეციფიკაციები და თუკი საგზაო საფარის პროექტი იცვლება სარეაბილიტაციო ხავალი ნაწილის სხვადასხვა მონაკვეთებზე, საგზაო საფარის სხვადასხვა პროექტის ადგილმდებარეობა ნაშენები უნდა იყოს ნახაზებზე.

საფუძელის პროექტირება:

დიზაინერმა დეტალურად უნდა მიუთითოს საფუძელის პროექტები და თუკი საფუძელის პროექტები იცვლება სარეაბილიტაციო საფუძელის სხვადასხვა მონაკვეთებზე, საფუძელის სხვადასხვა პროექტების ადგილმდებარეობა ნაშენები უნდა იყოს ნახაზებზე.

4. სავალი ნაწილის სივანე

მინიმალური სივანის ნორმა:

დიზაინერმა უნდა უზრუნველყოს საგზაო საფარის მინიმუმ 6.0მ სივანე. იქ, სადაც შემოთავაზებულია უფრო ვიწრო გზები, მინიმალური მოთხოვნა იქნება სივანის შემცირების ლოგიკური დასაბუთების დოკუმენტირება და დამტკიცება მგფ-ს მიერ.

მაქსიმალური სივანის ნორმა გზებისათვის დაბალი ინტენსივობის მოძრაობით:

ზოგადად, დაბალი ინტენსივობის გზები, პარკინგის გარეშე 7.0მ (მინ 6.0მ) სივანის უნდა იყოს. პარკინგის ზოლის მქონე დაბალი ინტენსივობის გზებისათვის თითოეული ზოლის სივანე შესაძლოა შემცირდეს 3.25მ-მდე, 2.5მ სივანის პარკირების ზონებით ორივე მხარეს, რაც მოლიანად შეადგენს 11.5მ საგზაო საფარს. უფრო ფართო სავალი ნაწილის შემოთავაზება დასაბუთებული უნდა იყოს საშუალოდ 3,000 სატრანსპორტო საშუალებით დღიურად (ADT) ან 300 სატრანსპორტო საშუალებით პიკის საათის განმავლობაში ახლო მომავალში (5-10 წელი). ზოგიერთ შემთხვევაში არსებული სავალი ნაწილი შესაძლოა ნორმირებულზე განიერი იყოს. ამ შემთხვევაში

მომოცა 3

დისაინერი გადახედავს პროექტს იმის გათვალისწინებით, რომ გამწვანებით და/ან ტროტუარების გაფართოებით შეძლებისდაგვარად დააიწროვოს საგზაო საფარი. იქ, სადაც შემოსთავაზებული საჯალი ნაწილი ნორმირებულზე ფართოა, დისაინერი ანგარიშს წარუდგენს მგფ-ს იმის მითითებით, თუ რა მიზეზების გამო არის შემოსთავაზებული უფრო ფართო საჯალი ნაწილი.

5. გვერდულების მოწყობა საგზაო საფარის მიმდებარე ტერიტორიაზე

ყველა გზის პროექტში გათვალისწინებული უნდა იქნას საგზაო საფარის უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიის სათანადოდ მოწყობა. იგი ან სათანადოდ უნდა იყოს მოწყობილი ბორდიურებით ან გვერდულებით. იქ, სადაც გვერდულები უნდა მოეწყოს გამოყენებული უნდა იქნას სათანადო მასალა (როგორცაა ხრეში ან ღორღი). იგი შერწყმული უნდა იყოს საჯალი ნაწილის კედლთან და აქონდეს მინიმუმ 10მ სივსი. იქ სადაც ეს პარამეტრები მიუღწეველია, დისაინერმა ამის შესახებ უნდა მიუთითოს თავის ანგარიშში მგფ-სადმი.

6. დრენაჟის ვარიანტები

საქართველოში გამოიყენება გზის სამუშაოებთან დაკავშირებული ხანიაღვრე წყლის დრენაჟის განკარგვის რამოდენიმე ალტერნატიული მდგომა, რომლებიც ქვემოთ არის მოყვანილი:

- ხედაპირული წყლების დრენაჟი საჯალი ნაწილის გახწვრივ ბორდიურებთან;
- ხედაპირული წყლების დრენაჟი არხებში, მოპირკეთებული ან მოუპირკეთებელი;
- ღია ბეტონის U-სებრი ღარები;
- დახურული ბეტონის U-სებრი ღარები; და
- დახურული ხანიაღვრე სისტემა.

რეკომენდებული დრენაჟის ვარიანტის შერჩევის საფუძველი:

რადგანაც გზის ხარუბილიტიაციოდ სხვა სამუშაოების ვარდა მგფ-სათვის ადგეკატური დრენაჟი არის საჯირო, ძალზედ მნიშვნელოვანია ხედაპირული წყლის დრენაჟის ვარიანტის შერჩევის ძირფეხეიანად გამოკვლევა, განსაკუთრებით კი მათი გავლენა ფასზე. შესაბამისად, დისაინერმა დეტალურ საპროექტო ანგარიშში უნდა მიუთითოს დრენაჟის ვარიანტის შერჩევის ლოგიკური საფუძველი.

დრენაჟი საგზაო სამუშაოებიდან მომორებით:

სავალი ნაწილის მიმდებარედ დრენაჟის გათვალისწინების გარდა, ასევე ისმება საკითხი არის თუ არა სავალ ნაწილზე შეკრთვებული წყალი ადეკვატურად გაყვანილი სავალი ნაწილის სიახლოვიდან და არის თუ არა იგი მიმართული ხათანადო მიმდებ წყალგამყვან არხში ან წყალწაშეების ადეკვატულობაში.

7. ბორდიურების და ხანიაღვრე ღარების ვარიანტები

ქვემოთ მოყვანილია საქართველოში გამოყენებული გზის გასწვრივ ბორდიურების მოწყობის რამოდენიმე სხვადასხვა საპროექტო მიდგომა:

- ასაწყო ბაზალტის ან გრანიტის ბორდიურები ხანიაღვრე ღარების გარეშე;
- ასაწყო ბეტონის ბორდიურები ხანიაღვრე ღარების გარეშე;
- მონოლითური ბეტონის ბორდიურები ხანიაღვრე ღარების გარეშე;
- შემთხვევითად ვარიანტებთან კომბინირებული ასაწობი ხანიაღვრე ღარების;
- მონოლითური გაერთიანებული ბორდიური და ხანიაღვრე ღარი (ერთი ერთეული).

რეკომენდებული ბორდიურის ვარიანტის შერჩევის საფუძველი:

რადგანაც მგფ-ს მიერ სარეაბილიტაციო პროექტებისათვის ბორდიურები ბევრგან არის შემოთავაზებული, საჭიროა დიდი ხიფთხილით განისაზღვროს შემთხვევითად ვარიანტებიდან რომელი უნდა იქნას გამოყენებული, კერძოდ კი რაც შეეხება სამუშაოების ხანგამძლეობას და დანახარჯების ეფექტურობას. შესაბამისად, დიზაინერმა დეტალურ საპროექტო ანგარიშში უნდა მოეთითოს ბორდიურების ვარიანტის შერჩევის ლოგიკური საფუძველი. ბაზალტის ან გრანიტის ბორდიურები ძვირადღირებულია და მათი ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება ბეტონის ბორდიურებისას. ამ მიზეზის გამო, ბორდიურების ვარიანტის რეკომენდირებისას დიზაინერს ვურჩევთ გამოიყენოს ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი. ბეტონის ბორდიურებისა და ხანიაღვრე ღარის მონტაჟი ასაწობი ფორმების გამოყენებით მრავალ ქვეანაში სტანდარტულ პრაქტიკას წარმოადგენს, ამრიგად თუკი დიზაინერი და კლიენტი გადაწყვიტენ ბაზალტის ან გრანიტის გამოყენებას, ამ ვარიანტის გამოყენების დასაბუთება მგფ-სათვის წარმოდგენილ დეტალურ საპროექტო ანგარიშში უნდა იქნას შეტანილი.

8. სახლებთან მისასვლელების/კერძო შესასვლელების მოწყობა:

ქუჩის გასწვრივ მდებარე სახლებთან მისასვლელების გაუმჯობესება კიდევ ერთი ხვეწრაა, სადაც პროექტირება და გზების მშენებლობა გაუმჯობესებას მოითხოვს. საქართველოში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც არსებული

სახლთან მისასვლელი ერთ დონეზე არ კვეთს გზის სავალ ნაწილს, ან სადაც გზის სავალი ნაწილიდან წყალი გაედინება მიმდებარე კერძო ტერიტორიებზე. შემოსხენებული პრობლემების გადაჭრა შემდეგნაირად უნდა განხორციელდეს:

ყველა სახლებთან მისასვლელის ადგილმდებარეობის განსაზღვრა:

დიზაინერმა უნდა განსაზღვროს ყველა მისასვლელის ადგილმდებარეობა და ნახაზებში შეიტანოს ისინი, იმგვარად როგორც მოთხოვნილია გზაჯვარედინები.

სახლებთან მისასვლელები, რომელიც კვეთს გზის სავალ ნაწილს:

დიზაინერი გზის გრძივ კვეთზე მიუთითებს თითოეულ სახლთან მისასვლელს/კერძო შესასვლელს, რათა უზრუნველყოფილ იქნას მისაღვრი და გამოსასვლელი კერძო/საზოგადოებრივი ნაგებობებიდან, მან ასევე უნდა განსაზღვროს საჭირო იქნება თუ არა სახლებთან მისასვლელების შეცვლა.

დრენაჟის ორგანიზება:

დიზაინერმა ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ ნიაღვრის წყლები სავალი ნაწილიდან არ ნედინებოდეს კერძო/საზოგადოებრივი ნაგებობების ტერიტორიაზე.

სახლებთან მისასვლელები, რომელიც კვეთს ტროტუარებს:

დიზაინერმა ისე უნდა დააპროექტოს ყველა სახლთან მისასვლელი, რომ ისინი ერთ დონეზე კვეთდეს ტროტუარებს, თუკი ეს განხორციელებადი არ არის, მაშინ უნდა მოეწიოს ტროტუარების პანდუსები, რათა სახლებთან მისასვლელები ერთ დონეზე გადაკვეთოს.

სახლებთან მისასვლელების შეცვლის პროექტში შეტანა:

დიზაინერმა ყველა სახლთან მისასვლელის გაუმჯობესება უნდა შეიტანოს შემოთავაზებულ ქვე-პროექტში.

9. ტროტუარების/ველობილიკების მოწყობა

დიზაინი უნდა შეესაბამებოდეს ქვემოთმოყვანილ სახელმძღვანელო პრინციპებს:

ტროტუარების მოწყობა:

გახათვალისწინებელია, რომ ქუჩების გაუმჯობესების პროექტის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს ტროტუარების მოწყობა ან მათი განახლება, თუკი არსებული ტროტუარები ცუდ მდგომარეობაშია. თუმცა, არის სიტუაციები, როდესაც ტროტუარის მოწყობა არაა საჭირო ან არაპრაქტიკულია. ეს სიტუაციები გულისხმობს სასოფლო გზებს, სადაც ფეხით მოსიარულეების რაოდენობა ძალზედ მცირეა, ან ვიწრო ტრასებს დასახლებებში, სადაც ტრანსპორტის

ინჟინერი

მოდრობა და ხიჩარუ დაბალია. თუკი დიზაინერის რეკომენდაციაა, რომ საჭირო არ არის ტროტუარის გაუმჯობესება, მას შეთხოვება იმის დასაბუთება თუ რატომ არ უნდა შევიდეს ქვე-პროექტში ტროტუარის გაუმჯობესების სამუშაოები.

ტროტუარების პანდუსები:

სტანდარტული საერთაშორისოდ აღიარებული საპროექტო პრაქტიკა ითვალისწინებს ყველა ტროტუარზე პანდუსების მოწყობას, რათა უზრუნველყოფილ იქნას უწყვეტი გადაადგილება გადაკვეთის ადგილებზე ზევით ასვლის ან ქვევით ჩასვლის საჭიროების გარეშე. გარდა ამისა, დიზაინერმა ყველა ტროტუარი პანდუსებით უნდა დააპროექტოს ყველა ადგილზე, რათა თავიდან იქნას აცილებული ასვლა ან ჩასვლა გზაჯვარედინებზე და სახლებთან მისასვლელების გადაკვეთებზე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათთვის, ვინც იყენებს საბავშვო ან ინვალიდის უტლებს და უტლებს მოხუცებისათვის.

ტროტუარების სიგანე:

ტროტუარები ადეკვატური სიგანის უნდა იყოს და არ უნდა იყოს ბლოკირებული საგზაო აღჭურვილობით. საცხოვრებელი უბნების ყველა ტროტუარი მინიმუმ 1.2 მ და უმჯობესია 1.5 მ სიგანის იყოს, რათა ორ ადამიანს შეუძლოს გვერდიგვერდ სიარული. უფრო ფართო ტროტუარები 3.0 მეტრი ან მეტი სიგანის უნდა იყოს გათვალისწინებული იქ, სადაც სახეზეა ფეხით მოსიარულეთა დიდი რაოდენობა, ისეთ უბნებში, სადაც თავმოყრილია საეაჭრო ობიექტები, საჯარო დაწესებულებები და სკოლები.

ტროტუარების განლაგება:

მიუხედავად იმისა, რომ ტროტუარები საუკეთესო შემთხვევაში ქუჩის ორივე მხარეს უნდა იყოს განლაგებული, გვხვდება ისეთი სიტუაციები, როდესაც შეუძლებელია ადეკვატური სიგანის ან უწყვეტი ტროტუარების მოწყობა. ზოგჯერ უმჯობესია ერთი ადეკვატური სიგანის და დაბრკოლებების გარეშე ტროტუარის მოწყობა ორი გამოუყენებელი ვიწრო ტროტუარის ნაცვლად.

ტროტუარების სავალი:

საქართველოში ტროტუარების მოსაწყობად უმეტესად ასფალტს იყენებენ. თუმცა ბევრ ადგილას სახეზეა ამ ტიპის ტროტუარის სწრაფი ცვეთა, რაც ნაწილობრივ გამოწვეულია ცუდი გამკვრივებით მშენებლობის დროს. ბეტონის ტროტუარების ვარიანტი განხილული უნდა იქნას ალტერნატივის სახით, რადგანაც მას აქვს

უფრო ხანგრძლივი გამოსადეგობის ვადა და უფრო დაბალი ტექნოსახურების ხარჯი.

10. გზაჯვარედინების პროექტირება და გზების იერარქია

როდესაც მუორეხარისიოვანი გზები კვეთს მაგისტრალურ გზებს (ეს ის გზებია, რომლებზეც დღიურად 2000 სატრანსპორტო საშუალებაზე (ADT) მეტი გაივლის) საჭიროა, რომ დიზაინერმა ამ ადგილებისათვის გათვალისწინოს დამატებითი საპროექტო დეტალები, რაშიც შვევა საკვლევი ნაწილის ზოლებისა და ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელების სათანადო მონიშვნა, ნებისმიერი შემთავაზებული ცვლილებები გადაკვეთების გეომეტრიაში, რაც შესაძლოა გულისხმობდეს კუთხის რადიუსის ცვლილებას ან ტრანსპორტის მოძრაობის ზოლებად დაყოფას, საჭიროებისამებრ. თუკი ხახივხალსი ნიშნების საჭიროება დასაბუთებულია, ეს მითითებული უნდა იყოს შუქნიშნების, მარკვულირებული მონიშნების და ა.შ. მდებარეობასთან ერთად.

11. ხავჯაო ნიშნები და გზის მონიშვნა

ნებისმიერი ქუნა, რომლის ტრანსპორტის დღიური ინტენსივობა 2000, ხოლო პიკის საათში 200 სატრანსპორტო საშუალებას შუადგენს ექვემდებარება ამ დებულებას. დიზაინერი, სხვა სამუშაოთა შორის ამგვარი ქუნებისათვის გათვალისწინებს ხავჯაო ნიშნებსა და გზის მონიშვნას. მინიმალურ მოთხოვნას წარმოადგენს ქვემოთმოყვანილი პუნქტების გათვალისწინება:

- შუა დერძელა ხახის მონიშვნა;
- ზოლების მონიშვნა, თუკი გზის მონაკვეთზე გათვალისწინებულია ორი ზოლზე მეტი;
- ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელი ადგილები;
- პარკინგის სიერცის მონიშვნა თუ პარკინგი ნებადართულია და პარკინგზე მოთხოვნა მნიშვნელოვანია;
- სარქარის შესდღუღვის ნიშნები 2კმ ან მეტი სიერძის გზის ვასწერივ, და
- პარკინგის აკრძალვის ნიშნები, თუკი პარკინგი აკრძალული უნდა იყოს.

გზის დამპროექტებელს მოეთხოვება პროფესიული განსჯის საფუძველზე რეკომენდაცია გაუწიოს ხავჯაო ნიშნებისა და გზის მონიშვნის გამოყენებას გზის სხვა მონაკვეთებზე, სადაც მოძრაობის ინტენსივობა ნაკლებია.

ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელი შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნებით მოძრაობის ინტენსივობის მიუხედავად ყველა ქუნაზე უნდა იქნას უსრუნველყოფილი სკოლების და ხავჯარო დაწესებულებების ხახლოვეს.

სკოლებისა და მზგავსი დაწესებულებების ხიახლოვეს გზის უსაფრთხოების გახადლიერებლად გამოყენებული უნდა იქნას სინქარის შეზღუდვის მეოოდები. ამასი შედის სინქარის ბუფერები, სინქარის შემანვლებელი შემადლებული ზედაპირები, სატრანსპორტო საშუალებების უპირატესობის სექციები, სიგზავური დაბრკოლებები და ა.შ.

12. საგზაო აღჭურვილობის შეფასება და რეაბილიტაცია

დისაინერი უნდა გაიედეს პროექტების ობიექტებზე, რათა შეაფასოს არსებული საგზაო აღჭურვილობის მდგომარეობა (როგორცია ქუჩის განათება, მოაჯირები ფეხით მოსიარულეთათვის, უსაფრთხოების დობები, ავტობუსის განერებები, სკამები და ა.შ) და შემდგომ დეტალურ საპროექტო ანგარიშში მგფ-სათვის დასამტკიცებლად შეიტანოს მონაცემები მათი მდგომარეობის შესახებ და ასევე შემოთავაზებები მათ რეაბილიტაციასთან და გამოცვლასთან დაკავშირებით. ამ შეფასების განხაკუთრებულად მნიშვნელოვან შტრისხს უნდა წარმოადგენდეს ტროტუარებზე ფეხით მოსიარულეთა გადაადგილების შესადლო დაბრკოლებების მითითება.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია პროექტის დაეალებაში მოცემულია თითოეულ საპროექტო უბანზე მთხოვნილი ვლექტრონული და ბეჭდური ასლების რაოდენობა.

(მგფ-ს შეუქლია მითხოვოს ზოგიერთი ან ყველა ანგარიში, ნახახი და ა.შ. მთხოვენებისათვის იხილეთ პროექტის დაეალება).

კვლევა-ძიება:

კომუნალური და სხვა სახლემწიფო ორგანოები - ანგარიში ნახახების ჩათვლით (არსებული და შემოთავაზებული) A4 ფორმატში;

საგზაო საფარის მდგომარეობის კვლევის ანგარიში და ნახახები A3 ფორმატში;

ნიადაგის კვლევა - საჭირო ანგარიშები - ფაქტიური და განმარტებითი ბარათები A4 ფორმატში; და

ტოპოგრაფიადების ანგარიში ნახახების ჩათვლით (ანგარიში A4 ფორმატის ნახახებში წარმოდგენილი უნდა იქნას 1:500 მასშტაბში A1 ციფრულ ფორმატში, ნახახების ბეჭდური ვარიანტები წარმოდგენილი უნდა იქნას A3 ფორმატში).

პროექტი:

საგზაო მოძრაობის ანგარიში A1 ფორმატში;

ჰიდროლოგიური ანგარიში (კახალიხაცია, ნიაღვრის წყალი და ირიგაცია) A4 ფორმატში;

კონცეფცია/წინასწარი/მუშა პროექტის ანგარიში, ანგარიშში უნდა შევიდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს ქვემოთმოყვანილი საკითხებით. ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს A4 ფორმატში, ნახაზები უნდა მომზადდეს A1 ციფრულ ფორმატში, ხოლო ბეჭდური ვერსიები A3 ფორმატში უნდა იქნას მოწოდებული:

- წარმოდგენილი უნდა იქნას ამომწურავი ანგარიში, რომელშიც საკმარისი დეტალურობით იქნება მითითებული პროექტის შემუშავების სტადია, და ასევე რეკომენდაციები და მოსაზრებები; მასში ასევე დეტალურად უნდა იქნას მოცემული პროექტირების პროცესში მოწოდებულ კომენტარებთან/მოთხოვნებთან დაკავშირებით გატარებული ზომები;
- სხვა საკითხებთან ერთად ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას პროექტისათვის მიღებული საპროექტო სტანდარტები, კრიტერიუმები და პარამეტრები. მიღებული სტანდარტების ნებისმიერი გადახვევები პროექტის დავალებაში ან წინამდებარე დოკუმენტში მითითებული მოთხოვნებიდან, იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილობრივი სტანდარტები პროექტირების შეუსაბამო სტანდარტებს წარმოადგენს, რომელიც შესაძლოა აღებულია გზებისა და ხიდების საპროექტო სახელმძღვანელოდან (DMRB - UK), სახელმწიფო საავტომობილო გზების ხელისუფალთა ამერიკული ასოციაციიდან (AASHTO USA) და ა.შ. საჭიროა ალტერნატიული საპროექტო სტანდარტების გამოყენების დასაბუთება;
- დიზაინერმა თავის დეტალურ ანგარიშში უნდა განიხილოს პროექტის ყველა ასპექტი, თან დაურთოს ნახაზები (სათანადო მასშტაბსა და ფორმატში შესრულებული, რაც ქვემოთ არის მითითებული), სპეციფიკაციები, ხარჯთაღრიცხვები, შშენებლობის ეტაპობრიობა და ნებისმიერი სხვა შესაბამისი და საჭირო დოკუმენტაცია (წერილები, ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარისა და ოფიციალური პირის თანხმობა და ა.შ.).

ნახაზები:

ნახაზები (ციფრული ასლები CDROM-ებზე, ბეჭდური ასლები აკინძული სახით და A3 ფორმატში უნდა იქნას წარმოდგენილი) ლოგიკურად და ქრონოლოგიურად უნდა იქნას დახმობილი ქვემოთმოყვანილი სახით:

მ. შიშოვაძე

პროექტის ნომერი (60) სტადია (კონსტრუქციული ან წინასწარი ან მუსა ან მშენებლობა) ნახაზის ნომერი (6+1)

i. ზოგადი განლაგების ნახაზი - შემოთავაზებული სამუშაოების დეტალური განლაგების გეგმები Autocad-ის უახლეს ვერსიაში უნდა იქნას მომზადებული, 1:500 მასშტაბში, A1 ციფრული ნახაზების ფორმატში და უნდა უჩვენებდეს ქვემოთმოყვანილს:

- ა) სავალი ნაწილი, გვერდულები, პარკინგის ზოლები, პორდიურების ნაზები, ტროტუარები, სავალი ნაწილის გამყოფი ზოლები, გზის პირები, უსაფრთხოების კუჩქულები და ა.შ;
- ბ) ხატრანსპორტო მოძრაობის კონტროლის აღჭურვილობა;
- გ) ზედაპირული წყლების ხადრენაუო და შექმნები სისტემა;
- დ) ყველა პორიზონტალური საკონტროლო ხაზის მანიფილ/დისტანცია;
- ე) ძირითადი დაკვალვის ზომები;
- ვ) მიწის სამუშაოები, ყრიდების, თხრიდების და ა.შ. ნათელით.

უკეთ დემონსტრირებისათვის ზოგიერთ ადგილი შესაძლოა უფრო მხხვილ მასშტაბში იქნას მოცემული.

ii. პორიზონტალური და ვერტიკალური გეგმარება - საავტომობილო გზის განლაგების ნახაზები, რომელშიც სამუშაოების განხახახდურად დეტალურად იქნება მოცემული ყველა პორიზონტალური და ვერტიკალური გეგმარების საკონტროლო ხაზები. პორიზონტალური გეგმარების ნახაზები განხახდურად საკონტროლო ხაზების ყველა გეომეტრიული ელემენტის ადგილმდებარეობას და ნათლად წარმოაჩენს კაემირს/შეუდლებას ახალ სამუშაოებსა და არსებულ გზებს შორის. ვერტიკალური გეგმარების ნახაზები შესრულებული იქნება Autocad -ის უახლეს ვერსიაში, 1:500 მასშტაბში პორიზონტალურის და 1:50 მასშტაბში ვერტიკალურისათვის, A1 ციფრულ ფორმატში. ნახაზებმა ასევე უნდა უჩვენოს შემოთავაზებული ქანობები, ვერტიკალური მრუდის გეომეტრია, განივი ქანობი, ვირაჟების არსებული და შემოთავაზებული დონეები, სახლებთან მისახდელელები/ადგილობრივი შესახდელელები, და კაემირს/შეუდლება ახალ სამუშაოებსა და არსებულ გზებს შორის.

გადაკეთებისა და ანალოგიური ადგილების გეომეტრია უფრო მსხვილ მასშტაბში უნდა იქნას სათანადოდ წარმოდგენილი მკვლავის დახამტკიცებლად.

- iii. დაკვალვა - დაკვალვის გეგმები ასევე შესრულებული იქნება Autocad-ში, 1:500 მასშტაბში A1 ციფრულ ფორმატში, რომელშიც უნდა მოიცვას სამუშაოების მოლოანი დაკვალვა (ე.ი. 3D მონაცემები - x, y და z კოორდინატები). აღსანიშნავია, რომ თანამედროვე საპროექტო პროგრამები დაკვალვისათვის იძლევა 6 და 11 განზომილებიან მონაცემებს;
- iv. განივი კვეთები - ტიპურ და შეთანხმებულ კრიტიკულ ადგილებზე Autocad ფორმატში (1:100 მასშტაბში A1 ციფრულ ფორმატში) საბოლოო სახით უნდა იქნას წარმოდგენილი საგზაო საფარის, საგზაო აღჭურვილობის, გამწვანების, მიწისქვეშა და მიწისზედა კომუნიკაციების და განსხვავების ზოლების დეტალებით. განივი კვეთში უნდა ჩანდეს სავალი ნაწილი, სავალი ნაწილის გამყოფი ზოლები, გვერდულები, პარკინგის ზოლები, გზის პირების სივანე-ბორდიურები, ტროტუარები, დერეფნის სახდერები, ზღვრული დონეები, და შემოთავაზებული მიწისქვეშა კომუნიკაციების შეთანხმებული ადგილმდებარეობა. განივი კვეთები უნდა იყოს რეგულარულ ინტერვალებში (50მ ინტერვალებში ზოგადად და 25 მეტრიან ან უფრო ახლო ინტერვალებში გადაკვეთებზე, საჭიროებისამებრ) და განსაკუთრებულ მონაკვეთებზე, საჭიროებისამებრ;
- v. კომუნალური მომსახურების ქსელისა და კომუნიკაციების (სანიაღვრე, კანალიზაცია, სასმელი წყალი, ქუჩის განათება და ა.შ.) მდებარეობის ნახაზები. მილსადენიანი სისტემებისათვის საჭიროა პროფილები გვერდისთან თავსებად მასშტაბში და პროფილის ნახაზები. დრენაჟის ადგილმდებარეობის ნახაზებზე მითითებული უნდა იყოს წყალსადინარი არხების ხაზები, ნიაღვარმიმდები ჭეხის ადგილმდებარეობა და მიერთებები, საინფილტრაციო/შთანმოქმელი ჭეხის, სიკანილიზაციო ჭეხის, სათვალთვალო ჭეხის და სხვა მსგავსი საშუალებების ადგილმდებარეობა;
- vi. საგზაო აღჭურვილობისა და დამხმარე სამუშაოების ნახაზები. ქუჩის განათების, გზის მონიშვნის, საგზაო ნიშნების, სადრენაჟო მიწების და ანალოგიური საშუალებებისათვის; დიზაინერს მოეთხოვება მოაშუადოს დამხმარე სამუშაოების განლაგების/დაკვალვის ნახაზები 1:500 მასშტაბში, იქ სადაც საჭიროა დამატებითი დეტალები, გამოყენებული

მ. შოთაძე 3

უნდა იქნას უფრო მსხვილი მასშტაბი, რათა უზრუნველყოფილი იყოს სამუშაოების ადეკვატურად აღწერა. ყველა ნახაზი A1 ციფრულ ფორმატში უნდა იქნას მომზადებული Autocad-ის უახლესი ვერსიის გამოყენებით;

vii. ხაგზაო საფარის ნახაზები - განლაგების/დაკვადვის ნახაზები სხვადასხვა ტიპის ხაგზაო საფარის საინჟინერაციოდ, ტროტუარებისათვის, გზებისათვის და ა.შ.;

viii. დეტალური სამშენებლო ნახაზები - სტანდარტული გზის სამშენებლო ნახაზები, რომელიც მოიცავს ხაგზაო სამუშაოების წარმოებისათვის საჭირო ყველაწარმო ინფორმაციას. ისინი შეიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ქვემოთმოყვანილით:

- მიწის სამუშაოები;
- ბორდიურების მოწყობა, ტროტუარები და სხვა ხაგზაო საფარიანი ტერიტორიები;
- კედლები და სხვა ელემენტები; და
- სავალი ნაწილის ხაგზაო საფარის დეტალები.

საგზაო უსაფრთხოების აუდიტები

მგფ-ს მოთხოვნით, დიზაინერი განახორციელებს საგზაო უსაფრთხოების აუდიტებს ორ სტადიად. სტადია 1 და სტადია 2, დიდი ბრიტანეთის "სააუტომობილო გზების სააგენტოს გზებისა და ხიდების საპროექტო სახელმძღვანელოს, ტომი 5, განყოფილება 2", თანახმად (Highways Agency's Design Manual for Roads and Bridges, Volume 5, Section 2, Part 2, HD19/02 printed by the Stationary Office Ltd., United Kingdom). აუდიტის ანგარიში უნდა წარმოადგენდეს აუდიტორების მიერ განხილული ყველა უსაფრთხოების საკითხის ნუსხას, ხოლო დიზაინერის საპასუხო განმარტებითი ბარათი მგფ-სათვის უნდა იქნას წარდგენილი განხილვისა და დამტკიცებისათვის.

საპროექტო რისკების აღრიცხვა

მნიშვნელოვანია, რომ მგფ და დონორი კლიენტი დასაწყისიდანვე გათვითცნობიერებულად იყენონ პროექტის თანმხლებ ყველა რისკთან დაკავშირებით. ამ მიზნით მგფ-მა უნდა მოახდინოს დიზაინერს საპროექტო რისკების აღრიცხვა. რისკების კურნალი "ცოცხალ" დოკუმენტად ითვლება და იგი პროექტის სიცოცხლის განმავლობაში უნდა იქნას განახლებული; განსახილველი პუნქტები ქვემოთ არის მოყვანილი: *რისკის არხი*,

შემაშუბუქებელი ზომები, რისკის შესამცირებლად ვატარებელი ზომები, რისკის ობიექტი (ვის ან რას ემუქრება ეს რისკი), ღირებულებასთან დაკავშირებული რისკი, დროსთან დაკავშირებული რისკი, სახელოვნო/პერიოდი, აღბათობა, შედეგებისა და არახისტემატიური/ნარჩენი რისკის შეფასება.

ოგბიექტის ზედამხედველადის მოვალეობები

ძალზედ მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ არა მხოლოდ პროექტების პროდუქტი იქნას განხილული მგფ-ს საპროექტო სტანდარტებთან და სპეციფიკაციებთან შესატყვისობაზე ამგვარად, ქვემოთ მოყვანილია ობიექტის ზედამხედველების მოვალეობები, აღრიცხვის წარმოების მოთხოვნები და ა.შ. ეს ნუსხა სრულად ითვლება, მაგრამ იგი ამომწურავი არ არის და შესატყვისობის უზრუნველყოფისათვის თითოეული პროექტისათვის რედაქტირებას საჭიროებს:

ზოგადი საზედამხედველო პროცედურები

- *ზედამხედველობის გეგმის შედგენა (მაგალითი ქვემოთ არის მოყვანილი) რომელშიც განსაზღვრული იქნება ინსპექტირების დონე/ხისშირე, შესრულების ტესტირების მოთხოვნები და ა.შ. საკონტრაქტო დოკუმენტაციის მითითებით და მგფ-ს რეგონულ ზედამხედველ ინჟინერთან შეთანხმებულად;*
- *პრაქტიკული საკონტრაქტო პირის ფუნქციის შესრულება მგფ-ს/დისაინერსა და კონტრაქტორს შორის;*
- *სამუშაოების შესახრულებლად საჭირო ინფორმაციის მოპოვება მგფ-ს/დისაინერის მიერ ერთობლივად შედგენილი გრაფიკის შესაბამისად, საჭიროებისამებრ;*
- *იმის უზრუნველყოფა, რომ საკონტრაქტო დოკუმენტაციის ახლების საჭირო რაოდენობა იქნას გაცემული კონტრაქტორზე, მის მიერ გამოსაყენებლად;*
- *შეხვედრებში და მოლაპარაკებებში მინაწილეობა მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხებზე, განხილული საკითხების დოკუმენტაციის მომზადება და მათი რეალიზაციის უზრუნველყოფა;*
- *სამუშაოების მიმდინარეობასთან დაკავშირებულ შეხვედრებში მინაწილეობა;*

in 2008

- ობიექტის მენეჯერის მიერ წარმოებული ობიექტის ეურნალის მონიტორინგი, მასში ჩანაწერების დამატება საჭიროებისამებრ და მათი დაშტკიცება;
- ზედამხედველობის წიგნაკის წარმოება;
- ოფიციალური შემოწმებისა და ინსპექტირების მონიტორინგი და წარმოება;
- დაინტერესებული მხარეების ობიექტზე გამოძახება როდესაც ამას სიტუაცია მოითხოვს;
- საზედამხედველო პროცედურების კოორდინირება და მონიტორინგი; და
- ობიექტზე სამუშაოების უსაფრთხოებისაქენ ეურადღების მიყრობა, როგორც მგფ-ს წარმომადგენელი.

საზედამხედველო პროცედურების გრაფიკი

- კონტრაქტორების სამუშაოებისა და რეზურსების გრაფიკების (პროგრამა, მუშახელი, სამშენებლო ტექნიკა და მასალები) შედგენისა და წარმოების მონიტორინგი და ინსპექტირება;
- სამუშაოების გრაფიკების რეალიზაციის მონიტორინგი, გრაფიკებიდან გადახვევის მართვა და გადახვევების შესახებ კონტრაქტორების შეტყობინება;
- სამუშაოების ეტაპობრივი განხორციელების, საექსპლუატაციო გამოცდების, ტესტირების და შუალედური მიზნების მონიტორინგი;
- მიღება-ჩაბარებისა და გაშვების პროცედურების გრაფიკის მონიტორინგი.

ტექნიკური ზედამხედველობის პროცედურები

- სამშენებლო სამუშაოებისა და სამუშაოების ფაზების შემოწმება "ზედამხედველობის გეგმის" მიხედვით;
- ხარისხის კონტროლის რეალიზაციის უზრუნველყოფა, რომელზეც კონტრაქტორი არის პასუხისმგებელი;
- სამუშაო შეიყოფების, პირობებისა და მშენებლობის გამოცდილი/მიღებული პრაქტიკის უზრუნველყოფა (ე.ი. კონტრაქტორის სამშენებლო პროგრამის და შეთოდების განხილვა - განმარტება; კონტრაქტორის მიერ მომზადებული მუშა ნახაზები იმის დემონსტრირებას ახდენს ობიექტის ზედამხედველისათვის, რომ კონტრაქტორი გარკვეულია განსახორციელებელი სამუშაოს მოთხოვნებში, უსაფრთხოების პრობლემებში და ა.შ.);

(Handwritten signature)

- მოწოდებული მახალების ხარისხისა და სპეციფიკაციებთან შესატყვისობის შემოწმება;
- სამშენებლო კომპონენტების (ასაწყოები ელემენტების) წარმოების შემოწმება ქარხანაში, ცალკე შეთანხმებულ ფარგლებში (ე.ი. კონტრაქტორის მუშა ნახაზების განხილვა და დამტკიცება - განმარტება; მუშა ნახაზები საჭიროა იმ შემთხვევაში, როდესაც საკონტრაქტო დოკუმენტებში გათვალისწინებული არ არის განსახორციელებელი სამუშაოების დეტალები მაგ. სადრენაჟო მიწების დონეების და ა.შ. მისადაგება ტოპოგრაფიასთან);
- ფაქტური სამუშაოების მიმდინარეობის მონიტორინგი დაგეგმიდთან მიმართებაში;
- ქვე-კონტრაქტორის დამტკიცების პროცედურებში მონაწილეობა;
- ადგილზე გამოცდის პროცედურაში მონაწილეობა;
- მიღება-ჩაბარების შემოწმებებში მონაწილეობა და დოკუმენტებისა და ნაკლოვანებების ნუსხების შედგენა; და
- შწარმოებლის გარანტიის შემოწმებაში მონაწილეობა.

ფინანსური უკუდახმადელობის პროცედურები

- დახდევებისა და ფინანსური გარანტიების კონტრაქტთან შესატყვისობის შემოწმება;
- შუალედური და საბოლოო სამუშაოთა და მახალათა მოცულობების ჩამონათვალის, გადახდის სერტიფიკატებისა და კონტრაქტთან შესატყვისობის შემოწმება;
- სამუშაოების ცელილებებისა და დამატებების და დამატებითი აღჭურვილობის (საჭიროებისამებრ) ტექნიკური შინაარსის, მოცულობებისა და ფასების შემოწმება ცალკე შეთანხმებულ ფარგლებში;
- სამუშაოების შეფერხების, მისი ხარჯების მონიტორინგი და ანგარიშგება კლიენტის წინაშე;
- სამუშაოთა შესრულებით საბოლოო ფინანსურ დასახტურებაში და გადაცემაში მონაწილეობა.

მოთხოვნები დოკუმენტაციაზე

- სახელამხედველო სამუშაო ჩანაწერები/შენიშვნები;

მ. გოთა 3

- ობიექტის დღიურები;
- შემოწმების ჩანაწერები;
- ობიექტზე შეხვედრების ოქმები;
- კონტრაქტორის მიერ მოწოდებული საექსპლოატაციო დოკუმენტი (ე.ი. საშემსრულებლო ოქმი) და სხვა მიღება-ჩაბარების ოქმები (ე.ი. მოწოდებლის გარანტია და ა.შ.);
- დეფექტებისა და ნაკლოვანებების ნუსხები, ინსპექტირებისა და მიღების ოქმები და უტაპობრივი ჩაბარების ოქმები, საჭიროებისამებრ;
- ჩაბარების ინსპექტირების ოქმი; და
- სამუშაოთა შესრულების საბოლოო ფინანსური დადასტურების ოქმი.

Handwritten signature

ზედამხედველობის გზა

ინსპექციების დონე/ სიხშირე

№	კონტრაქტორის სამუშაოების პუნქტი	ინსპექციების დონე/ სიხშირე
1	დაკვლევა	1
2	კომუნიკაციების ადგილმდებარეობა (მიწისზედა და მიწისქვეშა)	1
3	კომუნიკაციებთან დაკავშირებული შემთავაზებების განხილვა	1
4	კონტრაქტორის აღსრულებისა და რესურსების შემოწმება	3
5	კონტრაქტორის სამუშაოების შემოწმება	4
6	კონტრაქტორის სამუშაოების მიმდინარეობის შემოწმება	2
7	შთანხმებულ პროგრამასთან მიმართებაში	1
8	გამოცდის რეჟიმის/ების ინსპექცია და ზედამხედველობა	5
9	ზომების კონტროლი	2
10	კონტრაქტორის გადახდის სერტიფიკატების შემოწმება	1
11	კონტრაქტორის ბუღს ნახაზების შემოწმება	5
12	საექსპლუატაციო გამოცდების შემოწმება	1
13	საშუალოდ პროგრამის/შეთადების ანგარიშის შემოწმება	4

შენიშვნა:

- ინსპექციების დონის/სიხშირის განმარტება ქვემოთ არის მოქცეული:
- 1. დონე 1 = ინსპექცია რეგულარულად და როდესაც საჭიროება მოითხოვს;
- 2. დონე 2 = ქოცდითი ინსპექცია;
- 3. დონე 3 = თქვენი თვალსაზრისით ინსპექცია;
- 4. დონე 4 = ქოცდითი ინსპექცია;

1. დაიწყო 5 - მისი ადგილის აღწერის გაცხადებაში.
2. 1-დან 4 მიწის ნაკვეთი დაიწყო მისი დახვეწის უფრო ხშირი მონიტორინგი, რაც უწყობს სახლის დახვეწის უფრო ხშირ დახვეწას.
3. უპრობლემოდ დაიწყო მისი დახვეწის უფრო ხშირ დახვეწის უფრო ხშირი მონიტორინგი, რაც უწყობს სახლის დახვეწის უფრო ხშირ დახვეწას.



დანართი 1

საგზაო საფარის პროექტირების შემოთავაზებები

პროექტირების პირობა	შემოთავაზება
რეკონსტრუქციისათვის/სრული რეაბილიტაციისათვის	
საფუძველი	<ul style="list-style-type: none"> • ღორღის გამოყენება (სათანადო ფრაგმენტაციის, რათა უზრუნველყოფილ იქნას ყინვაგამძლეობა და შიდა დრენაჟი) — და არა კარიერის არასორტირებული ხრეშის — რადგანაც საგზაო საფარის ძირითადმა შემადგენელმა მასალამ უნდა უზრუნველყოს საჭირო მხიდუნარიანობა; • მიზიმუმ 20სმ საფუძვლის სისქის უზრუნველყოფა და მისი გაზრდა ყინვაგამძლეობის უზრუნველყოფისათვის; • კარიერის ან მდინარის ხრეშის გამოყენება საფუძვლისათვის, მაგრამ სათანადო გრანულომეტრიული შემადგენლობით და პლასტიკურობით. სისქის ვარირება საფუძვლის სიმტკიცის, ყინვაგამძლეობის და დრამზე საპროექტო დატვირთვის მიხედვით.
500 < ADT < 1000vpd	<ul style="list-style-type: none"> • 5 სმ-იანი ასფალტბეტონის გამოყენება (ქვედა და საცვეთი ფენები)
ADT > 1000 - vpd	<ul style="list-style-type: none"> • ასფალტბეტონის ზედაპირის სისქის გამოყენება ადგილობრივი გზების საპროექტო პრაქტიკის გათვალისწინებით
ADT< 500 vpd.	<ul style="list-style-type: none"> • DBST – ზედაპირის ორმაგი ბიტუმირებული დამუშავება გამოყენება 20სმ-იანი ღორღის და სათანადო სისქის შესაბამისი გრანულომეტრიული შემადგენლობის ხრეშის საფუძველზე • სუსტი საფუძველებისათვის მიმე სატვირთო ავტომობილების მოძრაობით უნდა დაიგოს გზის სატკეპნით დატკეპნილი ბეტონის საფარი 12-15 სმ –იან ხრეშის საფუძველზე • ურბანულ ტერიტორიაზე შესაძლოა ნებადართული იყოს ასფალტბეტონის ან ბეტონის ფილების ნაკრებიანი კონსტრუქცია
ADT< 100 vpd.	<ul style="list-style-type: none"> • სათანადო გრანულომეტრიული შემადგენლობის და პლასტიკურობის ღორღის/ხრეშში გამოყენება გრუნტის გზებისათვის • სისქის ვარირება საფუძვლის სიმტკიცის მიხედვით
ასფალტბეტონის ზედა ფენის გადაგებით გამაგრება/რეაბილიტაცია	
	<ul style="list-style-type: none"> • საფარის საპროექტო სისქე უნდა ეფუძნებოდეს ზედაპირის დეფორმაციის ხარისხს და საგზაო საფარის მასალის ადგილზე გამოყენების შედეგებს. • ზედა ფენის გადაგება შესაძლოა გამოუსადეგარი იყოს მდელი დეფორმაციის ხარისხს საგზაო საფარისათვის, მიუხედავად ზედაპირის მცირედ დეფექტიანობისა • მიზიმილური მოთხოვნები უნდა მოიცავდეს საგზაო საფარის ექვე დაზიანებული მონაკვეთის (დაზარალებული, განშრეკებული, ორმოებიანი) ამოვსებას/ორმოედ დამუშავებას, 2.5-5 სმ შემასწორებელ ასფალტბეტონის ფენას (განსაკუთრებით ამოტეხილი ადგილების/ქვლების მოხასწორებლად) და კონსტრუქციულ ასფალტბეტონის ფენას (3-5სმ).
სადაც არსებული ასფალტბეტონი 10სმ-ზე მეტი	<ul style="list-style-type: none"> • ცივი რეკლირება და მუორადი მასალის ხელახლა დაგება შემასწორებელ/ზედაპირულ ფენად. ახალი ასფალტბეტონი შესაძლოა გამოყენებული იქნას ზედა ფენისათვის.

Handwritten signature or mark.

სისქისაა	
ADT < 500 vpd	<ul style="list-style-type: none"> • DBST - ზედაპირის ორმაგი ბიტუმიზებული დამუშავება - უნდა იქნას გათვალისწინებული შემასწორებელ ასფალტბეტონის ფენაზე. • უკეთეს აღტერნაქციას წარმოადგენს: რკონსტრუქცია ღორღის ფენით და ასფალტბეტონით ან DBST-ის მოწყობა პირდაპირ არსებულ ასფალტბეტონის საფარზე ბითუმის (მოსაჯიდი) ფენის დატანის შემდეგ (თუკი ის სტრუქტურულად საღია, მცირე ზედაპირული დეფექტებით)
	<ul style="list-style-type: none"> • საზღვასში უნდა აღინიშნოს დეფორმაციების შემოწმების და მახადების ადგილზე ტესტირების მნიშვნელობა, რათა სათანადო საფარი შეირჩეს საგზაო საფარის ვარჯიხიანობის აღსადგენად. ამგვარი ტესტირების გარეშე არსებობს ზედმეტად მარტივი ან ზედმეტად რთული პროექტირების სერიოზული საფრთხე.

შენიშვნა: ADT – საშუალო დღიური სატრანსპორტო მოძრაობა

vpd – სატრანსპორტო საშუალება დღეში

მ. შიშოვა 3



საქართველოს მთავრობის განკარგულება

N2424 2014 წლის 24 დეკემბერი ქ. თბილისი

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ
განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დებულებისა და სამეთვალყურეო საბჭოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 23 ივლისის №118 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა უზრუნველყოს:

ა) რეგიონული განვითარების მე-3 პროექტისათვის (RDP-III) კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების ანგარიშის (SECHSA) მოსამზადებლად მომსახურების შესყიდვა;

ბ) რეგიონული განვითარების მე-3 პროექტის (RDP-III) ეკონომიკური ანალიზის დოკუმენტაციის მოსამზადებლად მომსახურების შესყიდვა;

გ) რეგიონული განვითარების მე-3 პროექტის (RDP-III) ფარგლებში გათვალისწინებული ქვეპროექტების წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებებისა და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად მომსახურების შესყიდვა;

დ) ამ პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული, 2014 წელს განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსება „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის დამტკიცებული „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი პროექტები“ ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი: 25 03 01) განსაზღვრული ასიგნებებიდან;

ე) სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და მსოფლიო ბანკთან შეთანხმებული ქვეპროექტებიდან პირველი 5 (ხუთი) ქვეპროექტისათვის ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელება;

ვ) სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის 3¹ პუნქტის შესაბამისად, ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების, გარდა ამავე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, მსოფლიო ბანკთან შეთანხმებული ქვეპროექტებიდან პირველ 5 (ხუთი) ქვეპროექტთან დაკავშირებული ღონისძიებებისა, განხორციელებისათვის

საჭირო სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით განხორციელება.

2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ წარდგენილი მონაცემების საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინოს წინადადებები 2015 წელს განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსებასთან დაკავშირებით.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი ღარიბაშვილი